საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 995-03
25/07/2024

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 18 ივლისს № 971-03 ბრძანებით გამოცხადებულ სამაგისტრო პროგრამებზე მიღების ფარგლებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მაგისტრანტობის კანდიდატთათვის საგამოცდო და სააპელაციო ვადების, ადგილმდებარეობის განსაზღვრის, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საგამოცდო და სააპელაციო შედეგების განთავსების ვადების და სხვა დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის, რექტორის 2024 წლის 18 ივლისის № 971-03 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ

1. „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 18 ივლისს № 971-03 ბრძანებით განსაზღვრული რეგისტრაციისთვის, 12 აგვისტოდან 30 აგვისტოს 18:00 საათის ჩათვლით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველმა მაგისტრანტობის კანდიდატებმა, რეგისტრაციის ბაზის საშუალებით, შემდეგ ბმულზე:
https://argus.iliauni.edu.ge/ka/registration/masters უნდა ატვირთონ ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები (აიტვირთოს მხოლოდ pdf ფაილის ფორმატში) შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნების დაცვით:
ა) 1 ცალი ფოტოსურათი ზომით 3x4 (jpg ფაილი);

ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი. (მნიშვნელოვანია, რომ ჩასარიცხმა კანდიდატებმა ხელშეკრულების გაფორმების დროს წარმოადგინონ დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტი;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატმა, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მომენტისათვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, უნდა წარმოადგინოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური

ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და თარიღი;

დ) პირადობის მოწმობა. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში – პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);

ვ) 2024 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდის ბარათი/საიდენტიფიკაციო ბარათი;

ზ) რეზიუმე (CV);

თ) იმ მაგისტრანტობის კანდიდატმა, რომელსაც სურს ჩააბაროს ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამებზე: „გამოყენებითი გენეტიკა (ინგლისურენოვანი)“ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკა (ინგლისურენოვანი)“ ან „ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებები (ინგლისურენოვანი)“, უნდა წარმოადგინოს **დანართი 1-ით მოთხოვნილი დოკუმენტი.** ასეთის არ არსებობის შემთხვევაში – მაგისტრანტობის კანდიდატმა სავალდებულოა ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდა ინგლისურ ენაში;

ი) სამაგისტრო პროგრამაზე „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკა (ინგლისურენოვანი)“ ჩაბარების მსურველმა რეგისტრაციის დროს უნდა წარმოადგინოს GMAT (მინ ქულა 550) ან GRE (მინ ქულა 260+3) გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი ვალიდური სერტიფიკატი. თუ აპლიკანტს არა აქვს რომელიმე აღნიშნული სერტიფიკატი, მან უნდა ჩააბაროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა რაოდენობრივ და სიმბოლურ მსჯელობაში;

კ) სამაგისტრო პროგრამაზე „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკა (ინგლისურენოვანი)“ ჩაბარების მსურველმა კანდიდატმა რეგისტრაციის დროს, შესაბამის ველში უნდა ატვირთოს **სამოტივაციო განაცხადი ინგლისურ ენაზე,** რომლის აღწერა და შეფასების კრიტერიუმები წარმოდგენილია **დანართი 2-ით**;

მ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მოთხოვნის შემთხვევაში - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების დოკუმენტი.

2. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურზე რეგისტრაციაგავლილი მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის **საგამოცდო და სააპელაციო პერიოდი განისაზღვროს - 2024 წლის 2 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით.**

3. ზუსტი ინფორმაცია გამოცდის შესახებ (კონკრეტული გამოცდის თარიღის და ადგილმდებარეობის მითითებით) მაგისტრანტობის კანდიდატის (მხოლოდ რეგისტრაციის დროს მინიჭებული კოდის მითითებით) განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ერთი თვის ვადით, გამოცდის ჩატარებამდე, არაუგვიანეს 2024 წლის 1 სექტემბრისა.

4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის გამოცდებგავლილ მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასებები ინგლისურ ენაში, რაოდენობრივ და სიმბოლურ მსჯელობაში განთავსდეს მხოლოდ რეგისტრაციის დროს მინიჭებული კოდის მითითებით, ერთი თვის ვადით, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე 2024 წლის 3 სექტემბერს, ხოლო სხვა დანარჩენი შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შედეგები, იმავე პირობებით, 2024 წლის 10 სექტემბერს.

5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მაგისტრანტობის კანდიდატებმა საპრეტენზიო განაცხადი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შედეგების შესახებ უნდა გამოგზავნონ ელექტრონულ ფოსტაზე sciences_medicine@iliauni.edu.ge შემდეგის გათვალისწინებით :

ა. **ინგლისური ენა; რაოდენობრივი და სიმბოლური მსჯელობა** - შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შედეგების შესახებ მაგისტრანტობის კანდიდატს შევსებული და ხელმოწერილი საპრეტენზიო განაცხადი შეუძლია გამოაგზავნოს 2024 წლის 4 სექტემბერს, 10:00-დან 18:00 საათამდე, ელექტრონულ მისამართზე sciences_medicine@iliauni.edu.ge,
აღნიშნული საპრეტენზიო განაცხადების განხილვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე გაიმართება 2024 წლის 5 სექტემბერს.

ბ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის **დანარჩენი სხვა შიდასაუნივერსიტეტო მისაღები გამოცდების** შედეგების შესახებ მაგისტრანტობის კანდიდატს შევსებული და ხელმოწერილი საპრეტენზიო განაცხადი შეუძლია გამოაგზავნოს 2024 წლის 11 სექტემბერს, 10:00-დან 18:00 საათამდე, ელექტრონულ მისამართზე sciences_medicine@iliauni.edu.ge, აღნიშნული საპრეტენზიო განაცხადების განხილვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე გაიმართება 2024 წლის 12 სექტემბერს.

5. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ერთი თვის ვადით განთავსების მიზნით, 2024 წლის 13 სექტემბერს მიეწოდოს გამოცდებგავლილ მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასებები - აპელაციის შედეგების გათვალისწინებით, მხოლოდ რეგისტრაციის დროს მინიჭებული კოდის, შეფასების, ფაკულტეტის/სკოლის და პროგრამის მითითებით;

6. მაგისტრანტობის კანდიდატებთან, რომლებმაც წარმატებით გაიარეს საერთო სამაგისტრო და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები და რეიტინგული სიის მიხედვით მოიპოვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება, ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდეს შემდეგი გრაფიკით:

ა) ძირითადი სიის მიხედვით ჩასარიცხ კანდიდატებთან 2024 წლის 14 - 16 სექტემბერს, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, S კორპუსი, აუდიტორია 103 (მისამართი: გ. წერეთლის გასასვლელი, 3).

ბ) სათადარიგო სიის მიხედვით ჩასარიცხ კანდიდატებთან 2024 წლის 17 სექტემბერს, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, და 18 სექტემბერს 10:00 საათიდან 16:00 საათამდე S კორპუსი, აუდიტორია 103 (მისამართი: გ. წერეთლის გასასვლელი, 3).

7. ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატის საბუთების მინდობილი პირის მიერ წარმოდგენის შემთხვევაში, მინდობილმა პირმა უნდა წარმოადგინოს სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობა და თავისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

8. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველმა მაგისტრანტობის კანდიდატებმა ხელშეკრულების გაფორმების დროს უნდა წარმოადგინონ რეგისტრაციის ბაზაში ატვირთული ყველა დოკუმენტის დედანი:

ა) 1 ცალი ფოტოსურათი ზომით 3x4 ;

ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი (მნიშვნელოვანია, რომ ჩასარიცხმა კანდიდატებმა ხელშეკრულების გაფორმების დროს წარმოადგინონ დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტი;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატმა, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მომენტისათვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, უნდა წარმოადგინოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობა, რომელშიც მითითებულ უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და თარიღი, იმ პირობით, რომ ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის დასრულებამდე წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს;

დ) პირადობის მოწმობა. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში – პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);

ვ) 2024 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდის ბარათი/საიდენტიფიკაციო ბარათი;

ზ) რეზიუმე (CV);

თ) იმ მაგისტრანტობის კანდიდატმა, რომელიც აბარებდა ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამებზე „გამოყენებითი გენეტიკა (ინგლისურენოვანი)“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკა (ინგლისურენოვანი)“ ან „ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებები (ინგლისურენოვანი)“ უნდა წარმოადგინოს **დანართი 1-ის თანახმად** მოთხოვნილი დოკუმენტის დედანი (იმ შემთხვევაში, თუ იგი გათავისუფლებულ იქნა ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან).

ი) სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკა (ინგლისურენოვანი)“ მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს GMAT (მინ ქულა 550) ან GRE (მინ ქულა 260+3) გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი ვალიდური სერტიფიკატი (იმ შემთხვევაში თუ იგი გათავისუფლებულ იქნა რაოდენობრივ და სიმბოლურ მსჯელობაში გამოცდის ჩაბარებისგანან).

მ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მოთხოვნის შემთხვევაში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების დოკუმენტი.

9. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, მატერიალური რესურსების სამსახურს.

ელენე ჟურავლიოვა

დეკანი